

ნაძლევი მასალა

R a w M a t e r i a l

ნ ე დ ლ ი მ ა ს ა ლ ა

ლ ე ქ ს ე ბ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი
ს ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ო მ ა ს ა ლ ი ს
ს ა კ ი თ ხ ე ბ ზ ე მ ე - 2 0 ს ა უ კ უ ნ ი ს
ქ ა რ თ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი პ ო ე ტ ე ბ ი ს
შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი

A selection of
female voices in 20th-century
Georgian poetry addressing
questions of artistic material

R a w M a t e r i a l

წინასიტყვაობა	7
Foreword	13
მარიჯანი (მარიამ ტყემალაძე)	19
Marijan (Mariam Tkemaladze)	
ესმა ონიანი	33
Esma Oniani	
ელენე დარიანი - ბაქრაძე	49
Elene Dariani - Bakradze	
საფო მგელაძე	57
Sapo Mgeladze	
ბაბილინა ხოსიტაშვილი	69
Babilina Khositashvili	
დომენიკა ერისთავი / განდგეილი	77
Domenika Eristavi / Gandegili	
ბიოგრაფიები	85
Biographies	
ბიბლიოგრაფია	98
Bibliography	

წინასიტყვაობა

ლექსების კრებული “ნედლი მასალა” წარმოადგენს ხელოვანის და პოეტის, ანა გზირიშვილის კვლევას ქართული ქალი პოეტების შემოქმედებაში. მისი ინტერესის ფოკუსს სახელოვნებო, შემოქმედებითი მასალა წარმოადგენს და თუ როგორ ირეკლება ეს საკითხი უშუალოდ ლექსში. კვლევის ინტერესი მარიჯანის 1921 წ. ლექსმა “ნედლმა მასალამ” განაპირობა. ლექსი ანას მიერ ინგლისურად პირველად ითარგმნა და გამოიცა ჟურნალ დანართში.¹ თუმცა, გამოცემას წინ უძღოდა გზირიშვილის ინტერესი მარიჯანის და ზოგადად ქართული პოეზიის ინგლისურად თარგმნის მიმართ. პოეზიის თარგმნა, პოეზიის წერასთან ერთად, იქცა ხელოვანის ერთ-ერთ მდლიუმად.

წინამდებარე კრებული არ წარმოადგენს ლიტერატურის ისტორიის კლასიკურ კვლევას და ამიტომ თავისუფალია იმ ჩარჩოებისგან, რომელსაც ეს მეცნიერება გვკარნახობს. კრებული თავად არის ის ნედლი მასალა, გამოცემისთანავე კვლევის საგნად და შთაგონებად, რომ უნდა იქცეს. კრებულმა ერთი მხრივ, კონკრეტული თემის გარშემო გააერთიანა ქართული პოეზია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მეოცე საუკუნის ბოლომდე, მეორე მხრივ კი, ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოტოვებული თავი წამოწია წინ.

1. ჟურნალი დანართი, “მარიჯანი”, ნომერი 15, 2021 წ., რედ: ლიკა თარხან-მორავი, დაიბეჭდა სტამბაში “გრიფონი”, თბილისი, საქართველო.

ამ კრებულში თავად ლექსები ამყარებენ ერთმანეთთან კავშირს, ააშკარავენ პოეტებს შორის ურთიერთობის ფორმებს და ისტორიის უხილავ ფრაგმენტებს. ჩვენ ვეცნობით ისეთ მოვლენებს, როგორცაა საჩაიე “ძმური ნუგეში”², სადაც ქალი პოეტები იკრიბებოდნენ.

საუკუნეების გასაყარზე პოეტის და საზოგადო მოღვაწის, დომენიკა ერისთავის ინიციატივით დაარსებული საჩაიე, ქალი პოეტების ემანსიპაციისა და ბრძოლის ერთ-ერთ საკვანძო თავშეყრის ადგილად იქცა. ამავე სახელს უკავშირდება “ქართველ ქალთა საზოგადოება”, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა, როგორც ქალთა უფლებებისთვის ბრძოლაში, ასევე საგანმანათლებლო საქმით და ფინანსურად მხარში ედგა ჩაგრულებს. პოეტი და პუბლიცისტი იოსებ გრიშაშვილი ხშირად სტუმრობდა და საკუთარ პოეზიაშიც ახსენებდა პოეტთა და საზოგადო მოღვაწეთა თავშეყრის ადგილს. “ძმურ ნუგეშს” ის ახასიათებს, როგორც სალონს, სადაც შეკრებილთათვის სასაუბრო თემა ყოველთვის “სამშობლოს ეხებოდა”.³ ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც, იკვრება ჯერ კიდევ უცნობი სურათი პოეტი ქალების შრომასა და ცხოვრების წესის შესახებ და ისმის ფემინისტური ხმების ექო, რომელიც საუკუნის მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ავტორებსა და ლექსებს, კრებული არა ქრონოლოგიური, არამედ კონცეპტუალური თანმიმდევრობით წარმოგვიდგენს. გამოცემას მარიჯანის (მარიამ ტყემალაძის) “ნედლი მასალა”

2. მარიჯანი (მარიამ ტყემალაძე), ნინო ჩიხლაძე, დომენიკა ერისთავი / განდევნილი, მონოგრაფია, სახ. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1960, გვ. 43-44.

3. ნინო ჩიხლაძე, დომენიკა ერისთავი/განდევნილი, მონოგრაფია, სახ. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1960, გვ. 43-44.

და სხვა ნარჩევი ლექსები უძღვის წინ, როგორც კრებულის კონცეპტუალური ღერძი.

“მე თვით განგებამ, ხელში მომცა მასალა სველი, ნედლი მასალა, სულ ახალი, ხელუხლებელი, სხვა ნიადაგზე, მის ნამტვერში ამონაკვეთი და ზეციური ბალსამოსით ნაპკურ-ნაწვეთი.”⁴

ეს ლექსი განსაკუთრებით საგულისხმო აღმოჩნდა ავტორისთვის, როგორც შემოქმედისთვის, რომლისთვისაც მასალა, ან მასალის სიმწირე ხშირად თავად შემოქმედებითი პროცესის განმაპირობებელია. თითქოს ამავე საკითხს პასუხობს მარიჯანი ლექსში “თემა, რომელიც ძლიერ მაწუხებს”, სადაც ის შემოქმედებით კრიზისსა და საკუთარ იმედგაცრუებას აღწერს:

“...ასე მეგონა: სხვა მოვიდოდა - ახალი ქალი, ახალი კალმით.”⁵

კრებულში წარმოდგენილი პოეტების შემოქმედება სტილითა და შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავებულია. ანა გზირიშვილის ინტერესს ალბათ განსაკუთრებით ესმა ონიანი ეხმიანება, რომელიც თავადაც მხატვარი, პოეტი და ესეისტი იყო. შერჩეული ლექსებიდან კარგად ჩანს ესმა ონიანის დამოკიდებულება მასალასთან. იგი თითქოს, პირდაპირ აღწერს ხატვის პროცესს, საუბრობს ფერებზე, რომლებსაც საკუთარ ფერწერაში იყენებს, და მათთან დაკავშირებულ ასოციაციებზე, ბავშვობის მოგონებებზე:

4. მარიჯანი (მარიამ ტყეშელაძე), „ნედლი მასალა“, გვ. 20.

5. მარიჯანი (მარიამ ტყეშელაძე), „თემა, რომელიც ძლიერ მაწუხებს“, გვ. 22.

“მზინავ პატარა კუბების ჭყლეტვით მოიზღაზნება საღებავები. გამოხმობილა დაპრესილი, ფხვნილიანი მოკვდინებიდან:”⁶

ამ თვალსაზრისით, ესმა ონიანი შეგვიძლია სხვა პოეტებისგან გამოვარჩიოთ, რადგან მისთვის მასალა მატერიალურიც არის და არამატერიალურიც. ონიანი შედიუმებს შორის აგებს ისეთ კავშირს, სადაც ერთ სიბრტყეზე ხორციელდება მოგონება, საღებავი და ტექსტი.

ელენე დარიანის მასალა, თითქოს ერთ ადამიანშია მოქცეული, ლექსებიდან გამომდინარე ეს პოეტი პაოლო იაშვილია. ის არის მისი შთაგონებაც და მისი მასალაც. შერჩეულ ლექსებში ჩანს, თუ როგორ “დაუკეტა კარები აზრის წმინდა სამფლობელომ” მას შემდეგ რაც პაოლოსთან წყვეტს კავშირს:⁷

“თუ გული მკვდარია, სიტყვამ რა გააწყოს,
სიტყვები ხომ გულის ნაჟური სისხლია.”⁸

შერჩეული პოეტებიდან ელენე დარიანი ალბათ ყველაზე ნაკლებ ავლენს პოლიტიკურობას, როგორც პოეტური ფორმით ასევე შინაარსით. დარიანისგან ძლიერ განსხვავდება მისი თანამედროვე საფო მგელაძის შემოქმედება. თუკი დარიანის ლექსები სიყვარულის ობიექტს მიემართება, მგელაძე არაერთ ლექსს მეგობრებს და მისთვის მნიშვნელოვან ქალ ფიგურებს უძღვნის. საფო გამოირჩევა მათ მიმართ აღფრთოვანებითა და სოლიდარობით. ჩანს მისი მეგობრობა გამოჩენილ ქართველ

6. ესმა ონიანი, „ბეწვის ხიდი“, გვ.34.

7. ელენე დარიანი, „დამეღალა მაკა“, გვ.54.

8. ელენე დარიანი, „პაოლოს“, გვ.50.

ფემინისტ მებრძოლთან, კატო მიქელაძესთან. საფო მგელაძისთვის პოეზია ქალთა ემანსიპაციის ბრძოლის განუყოფელი ნაწილი და ამ პროცესის ერთ-ერთი იარაღია. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს დამოკიდებულება მასზე ასაკით უფროსი პოეტის, ფემინისტის და მშრომელთა უფლებებისთვის მებრძოლი ქალის ბაბილინა ხოსიტაშვილისთვის მიძღვნილ ლექსში იკითხება:

“საქართველოში აშენდება ჰარამხანები,
თუ ჩვენ არ გავხდით აზროვნების ამაზონებად.”⁹

თავად ბაბილინა ხოსიტაშვილი კრებულისთვის შერჩეული ლექსებიდან წარმოგვიდგება როგორც ქალი პოეტი და დედა, რომელიც საკუთარ შემოქმედებაში ზრუნვისა და წერის პრაქტიკებს აერთიანებს. ის ზრუნვას, როგორც ფემინისტური იდეების ერთ-ერთ ქვაკუთხედს უდგება, როგორც მასალას:

“ვერ ამოვქსელე, ერთობ ხლართია
ოჯახში, დედის მონობის ძაფი!”¹⁰

მისთვის დედის და დიასახლისის საქმიანობა დაუფასებელი და უჩინარი შრომაა, “ხლართია”, რომლის გახსნა და ამოხსნაც მისი შემოქმედების ერთ-ერთი ამოცანა და ღერძია.

კრებულის დასასრულს, ყველაზე უფროსი პოეტის, განდევლის ფსევდონიმით ცნობილი დომენიკა ერისთავის შემოქმედებას ვხვდებით. მისი პოეზიის სტილი საგრძნობლად განსხვავდება კრებულის სხვა ავტორებისგან. დომენიკა

9. საფო მგელაძე, „ბაბილინას“, გვ.64.

10. ბაბილინა ხოსიტაშვილი, „ხლართი“, გვ.70.

ერისთავი წინა თაობის წარმომადგენელია, მისთვის ქალების პოეზია და მწერლობა ჯერ კიდევ სიახლე ან გამონაკლისი იყო. ამიტომ მის ლექსებში ჩანს პოეზიის მოხელთების მცდელობა, როგორც იმგვარი პრაქტიკის, რომელიც ქალებისაგან შეიძლება იყოს. ეპოქის შესაბამისად, განდევნილის ლექსიც, ფორმითა და მოწოდებით საყოველთაო გზავნილებად იკითხება, პოეტის როლი კი მესიისას უტოლდება:

“შე შემიძლია გაზაფხული, ზამთრად შევცვალო.
და ზამთარი კი, ავაყვავო ვით გაზაფხული.
ზღვანი დავაშრო, ქართა ქროლვა შევკრა შევბოჭო,
ცა ავატირო, ქვესკნელმა სთქვას ტკბილი მაყრული.”¹¹

საინტერესოა, დღევანდელი თვალთ ამ ქალების ნაშრომების შეფასება, მათი არსებობის შესხენება, თანამედროვეობაში შემოტანა და ასევე საერთაშორისო მკითხველისთვის გაცნობა. შერჩეული ლექსებიდან ყველა ქართულიდან ინგლისურ ენაზე პირველად ითარგმნა.

ელენე აბაშიძე

11. დომენიკა ერისთავი / განდევნილი, „პოეტის ფიქრი“, გვ.78.

Foreword

Raw Material is a poetry selection focusing on artistic material in the work of Georgian women poets from the late 19th century to the late 20th century, translated and compiled by Ana Gzirishvili. Through this artist-led research, Gzirishvili, an artist and poet herself, is interested in how the question of material is regarded and reflected in the discipline of poetry by women poets. Her interest began with her translation of Marijan's 1921 poem, which lends its name to this very collection, first published in *Danarti*.¹ However, her interest in Marijan and in translation as practice began long before the translated poetry was introduced to a larger audience, making translation one of the aspects of her practice.

It is of note that the compilation at hand is not research led by a poetry historian, rather its uniqueness lies in it being a valuable example of artistic research. Therefore, the compilation is free of a historian's framework and resembles raw material in itself – to be made available for future use.

A cross-generational dialogue emerges across the pages of the anthology. The poems echo one another through time, bringing forgotten voices into the present. The anthology impresses upon us a view into the lifestyle of Georgian poetesses. We learn about events and places, such as the teahouse, *Brotherly Solace*, where

1. *Danarti* Issue 15, *Marijan*, 2021, Edited by Lika Tarkhan-Mouravi, Tbilisi.

women poets found refuge.² Established by Dominika Eristavi / Gandegili, a poet featured in the compilation, the teahouse served as a gathering place crucial to the struggle for female emancipation. A strong persona and public figure, Eristavi founded *The Georgian Women's Society* at the end of the 19th century. Known for its educational work and championing of women, the Society also actively supported workers from across the country through fundraising. *Brotherly Solace* was often visited by then-young poet, Ioseb Grishashvili, who describes the teahouse as the place to meet wonderful women poets, always “open for discussions about their homeland.”³

The collection of poetry is gathered conceptually rather than chronologically, so as to maintain the axis of its conception, that of the question of artistic material.

Raw Material and other poems by Marijan mark the beginning of the anthology:

*“Fate itself has handed me the wet material,
raw material, pristine, unstained,
on a different soil, carved out from the sun dust
and spray-sprinkled with heavenly balm.”*⁴

Raw Material is a key piece of writing for the author of translation, due to its subject of artistic material, or at times lack thereof. For Ana Gzirishvili, as well as for peer artists and poets in Georgia, this

2. Marijan, *Coral Rosary, Dominika Eristavi / Gandegili Monography*, Nino Chikhldadze, Soviet Georgia Publishing House, 1960, Tbilisi; Pg.43-44.

3. *Dominika Eristavi / Gandegili Monography*, Nino Chikhldadze, Soviet Georgia Publishing House, 1960, Tbilisi; Pg.43-44.

4. Marijan (Mariam Tkemaladze), *Raw Material*, Pg.21.

artistic material has become a means to produce, write and reflect. In response to the lack of available contemporary poetry research, Gzirishvili constructs a narrative with which to navigate Georgian poetry history. This allows her to reflect on her own position and perspective within cultural discourse, leading to new findings and materials to share locally and internationally.

The following poem, *Topic that concerns me strongly*, shows how Marijan posed similar questions through her practice in the 1920s:

*“...I thought: Someone else will follow -
A new woman, A new vision.”*⁵

The selected authors vary in style and in subject matter. Probably the closest to both Gzirishvili and Marijan is Esmā Oniani, a late 20th century artist and poet, also known for her essayistic practice. In the selected poems Oniani illustrates the process of painting, focusing on the material and immaterial aspects of color.

*“Slithering out from the crushing of tiny, shiny tombs,
paints. Summoned out of the compressed, powdery death:”*⁶

In her series of poetry on color, Oniani zooms in and out of paint as a solid container, a hard material holding the softness of the memories and associations of her lived experience. Her poetry is exceptional, bridging the tactile and the untouchable matters within written text.

For Elene Dariani, material exists as one body, that of well-known

5. Marijan (Mariam Tkemaldze), *Topic that concerns me strongly*, Pg.24.

6. Esmā Oniani, *Tightrope*, Pg.35.

poet, Paolo Iashvili. It appears that he served as muse and material for her writing, for his death left Dariani wordless.

*“If the heart is dead, what’s the word to do,
aren’t words an essence of the heart’s blood.”⁷*

It seems that for Dariani, personal and professional lives are intertwined through the figure of Iashvili. Pointing to his importance, Dariani writes: *“In my feelings, I can no longer compare to my former self, Sacred realm of thought has shut its doors to me.”⁸* Out of the selected poets, Dariani probably embodies politics the least. In contrast, her contemporary, Sapo Mgeladze, takes a radically different stance. If most of Dariani’s practice is devoted to her male lover, Mgeladze writes about peer poets, friendships, and woman-centred sociality. Her admiration for and solidarity with female figures is striking. Sapo Mgeladze is probably most associated with writing as a tool for the emancipation of women. The struggle is well-described in her work, especially in the poem devoted to Babilina Khositashvili - a poet and public figure of an older generation. *To Babilina* reads:

*“Harems will be built in Georgia,
if Amazons of thought we don’t become.”⁹*

Babilina Khositashvili herself is presented as a poet and mother, combining the practices of care and writing.

“I couldn’t unweave it, quite a tangle...”

7. Elene Dariani, *To Paolo*, Pg.51.

8. Elene Dariani, *Untitled*, Pg.55.

9. Sapo Mgeladze, *To Babilina*, Pg.66.

Such a tangle is a thread of slavery!”¹⁰

Her interest in the invisible labor of mother and housewife makes up the core subject of her writing as a true feminist thinker. As a labor rights defender and a researcher in life, Babilina Khositashvili is probably the most vocal about feminist struggle in her writing amongst the list.

Closing off the anthology is the work of the most senior woman writer of the selection, Dominika Eristavi, also known under the pseudonym Gandegili (Hermit). Her writing is marked by the epoch and is stylistically very different to the work of other poets. Gandegili is of the time when women were not often publicly represented as writers. Therefore, writing poetry was already a political act, claiming the practice as something women could do, too. Here, one can see how poetry itself becomes the subject matter:

*“I can turn the spring to winter.
And make the winter bloom as a spring fair.
I can part the seas, chain the blowing of the winds,
Make the heaven weep, and the abyss sweetly sing.”¹¹*

Raw Material engages with the works of these exceptional authors, shedding light on them, returning them to the consciousness of the Georgian public, and presenting them to an international audience. Selected works have been translated from Georgian to English for the first time.

Elene Abashidze

10. Babilina Khositashvili, *Tangle*, Pg.71.

11. Dominika Eristavi / Gandegili, *The Thought of a Poet*, Pg.79.

მარიჯანი (მარიამ ტყემალაძე)
Marijan (Mariam Tkemaladze)

ნედლი მასალა

მე თვით განგებამ, ხელში მომცა მასალა სველი,
ნედლი მასალა, სულ ახალი, ხელუხლებელი,
სხვა ნიადაგზე, შზის ნამტვერში ამონაკვეთი
და ზეციური ბალსამოსით ნაპკურ-ნაწვეთი.
მე უსიცოცხლოს კიდევ შემწევს იმდენი ძალა,
რომ დამწვარ სულში ჩავაქსოვო ნედლი მასალა,
და სისხლის ზვირთით ისე შევკრა და შევაშბადო,
რომ შევქმნა ლექსი, ლექსი წმინდა, ლექსი უბადო.
მე შიგ ჩავაქსოვ: დაჭრილ მკერდის კვნესა-წვალეობას,
მაჯის ცხელ ცემას, სნეულ სახის გაფერმკრთალებას,
დამსხვრეულ იმედს, ყალბ სიყვარულს, მუნჯ ხვაშიადსა,
დაგროვილ ვნების ქარტეხილის ქროლვას დიადსა.
...მე ხელთ მიჭირავს მშვენიერი ნედლი მასალა,
თუ ამ წყეულმა, დაჭრილ გულმა ცოტა მაცალა...

1921

Raw Material

Fate itself has handed me the wet material,
raw material, pristine, unstained,
on a different soil, carved out from the sun dust
and spray-sprinkled with heavenly balm.
Although lifeless, still I hold enough strength,
to weave into the burnt soul the raw material,
assemble, foregather with the ripple of the blood current,
to compose a poem, poem pure, poem flawless.
I will weave into it: moaning-tormenting of the wounded chest,
hot pulsating of the wrist, fading of the ailing face,
broken hopes, fake love, mute fervor,
magnificent blasts of turbulence from accumulated lust.
...In my hands I hold a lovely raw material,
only if this damned, wounded heart would let me...

1921

თემა, რომელიც ძლიერ მაწუხებს

ჩემი პირველი ლექსების შემდეგ,
მეც ვატარებდი პოეტის სახელს.
ახლა კი თითქოს ყინულზე შევდევ,
ჩემი ლექსები არაფერს ამხელს.

გზიდან ჩამოვდექე, თუმცა მინდოდა
მეც შემუშავა სიტყვით თუ საქმით,
...ასე მეგონა: სხვა მოვიდოდა –
ახალი ქალი, ახალი კალმით.

რამდენი სიტყვა გაქრა უსტამბოდ, –
რამდენი რითმა გადაყვა ღამეს.
მინდა ეს განცდა ქალაღდს ვუამბო,
რომ ჩამქრალ ლექსებს ეშველოს რამე

რისთვის დავდუმდი, როცა უნარი
სხვაზე ნაკლები არ იყო ჩემში,

როცა გრძნობები მუდამ მცხუნვარი
გადადიოდნენ უხვად რითმებში!

უმოქმედობით ჩემს თავს მოვბეზრდი,
სიტყვა არ არხევს სიცოცხლის კარებს,
ვგრძნობ, რომ ლექსები, ვისთვისაც ვწერდი,
ახლა იმათაც აღარ ახარებს...

თუ ძველი ლექსი უკვე დაობდა,
და გახრწნის სუნი გადაჰკრავს ყოველს,
რას დავეუტოვებ ახალ თაობას?
რა გავაკეთე? ან რისთვის მოველ?

რად უნდა ვიყო ღონემიხდილი,
როდესაც გული ლაღობს და სერობს:
ან განახლება, ანდა სიკვდილი!
სხვა არჩევანი აღარ არსებობს.

Topic that concerns me strongly

After my first poems,
I also carried the name of the poet.
Now, as if I stepped on the ice,
my poems reveal nothing outright.

I stepped down, although
I also wanted to act or to work with the word,
...I thought: Someone else will follow –
A new woman, A new vision.

How many words disappeared unpublished, –
how many rhythms were taken by night.
I want to tell this feeling to paper,
to revive the poems that have faded

Why did I hush, when my skills
were no less than anyone else's,

when the feelings ever blazing
would profusely transform into verses!

I have bored myself with inaction,
word doesn't shatter the gateway to life.
I feel people for whom I was toiling,
are gladdened by my poems no more...

If the old verse has turned into mould,
and smell of decay pervades all,
what is my legacy for new generation?
What have I done? Why have I come?

Why should I be exhausted,
when my heart delights and flutters:
Either renewal, or demise!
There is no alternative choice.

1931

საპასუხო

მე ხომ გარყვნილი არ დავიბადე,
მქონდა აზრები, გრძნობა უმანკო,
მქონდა ფიქრები, გულს რომ ზედ ადევს,
მქონდა ნამუსი – ქალწულს რომ ამკობს.
როცა ბაზარზე ჩემი სხეული
გამოვიტანე გროშების ფასად,
როცა სახლიდან გამოქცეული
ვიქვც გარყვნილად და ქუჩის ხასად-
შენ ხომ პირველმა გამომიწოდე
ჩემი მაზანდა სპილენძის ფული
და ახლა კიდევ გარყვნილს მიწოდებ!
რისთვის გამირყვენ უმანკო გული?
მე გავირყვნები – აშკარა არის,
მე გავირყვნები, ეს ვიცი, ძლიერ,
მაგრამ ამაყი, გწამდეს მარად ვარ,
მას შენ არ მოგთხოვ, რაც დამეკარგა,
და თუ დღეს შემხვდი, რომ გამიმთელო
გული, რომელიც აწ დაზიანდა,
ო, ვერასოდეს გაიტან ლელოს –
დაგაგვიანდა! დაგაგვიანდა!

ეს ლექსი არის მარიჯანის პასუხი ი. გრიშაშვილის მიერ მისთვის მიძღვნილ ლექსზე “შენ გავირყვნები”.

Response

I was not born filthy, right,
I had conception, feeling pure,
I had thoughts, laid over my heart,
I had my conscience – that fits a virgin.
When on the market
I exposed my body for cents,
When escaped from home
I have become a street whore –
You were the first one
Who handed me my bit of copper coin
And now you are calling me defiled!
Why have you defiled my innocent heart?
I will be defiled – that is for sure,
I will be defiled, I know this, severely,
Nevertheless, believe me, eternally proud I am,
I won't ask from you, what I have lost,
And if you met me today, to fix
My heart, that is already bruised,
Oh, you will never get what you want –
You are late! You are late!

This poem is Marijan's response to *You Will Be Defiled*, a poem written to her by I. Grishashvili.

(...)

ყოველ ჩემ სიტყვას ანგარიშს ვუწევდი.

ჩემში ბავშვობიდანვე პასუხისმგებლობა იყო.

ღმერთო ჩემო, რა კეთილი ვიყავი.

ახლა კი გავბოროტდი.

ვფიქრობ: ნუ თუ დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი ადამიანი, რომელმაც ჩემი სულის შიმშილი სავსებით გაიგოს?..

მე არ მინდა ჩემ გრძნობებს დავემონო.

სიყვარული, რომელიც ერთს აფერადებს და მეორეს - სჩაგრავს დასაგმობია. ასეთი სიყვარული მე არ მწამს.

მე სიძულვილი მენატრება! სიძულვილი, ყოველივე ჩემი უკრედიო, ყოველივე ჩემი ნერვის ძაფებით, ყოველივე ჩემი სისხლის წვეთით. ჩემი სიტყვა შხამით უნდა იყოს გაჟღენთილი, რომ სწამლავდეს ატმოსფეროს.

ჩემი ბოროტი სუნთქვა უნდა ახმობდეს ყვავილებს, ჩემი მწარე ღიმილი უნდა სერავდეს მიწას...

ოხ, ისე უნდა გაიყოს ჩემი გული სიბოროტით, რომ ვეღარ დაეტიოს გულის ფოსოში, გასკდეს, ბალღამად გადმოიღვაროს და მთლად წამლეკოს...

ჩემი სუსტი ხმა თავშემზარავ ჭექა-ქუხილად უნდა გადაიქცეს.

ჩემი მსუბუქი სიარული, ისე უნდა დამძიმდეს, რომ

საუკუნოებით დამარხულ ძვლებმაც იგრძნონ ტკივილი და
შეიშმუშნონ.

ახ! ჩემ სურვილებს ვერ დაფარავს თვით ოკეანე.

მე წარსულს მივაფურთხე.

მე აწმყო უარვყავი.

მომავალს ვწვავ ანთებულ თვალებით და მინდა ყველა

პლანეტები შევაჯახო, რომ ახალი მსოფლიო შევქმნა:

ჩემი საკუთარი კანონებით.

(...)

1925

ნაწევები წიგნიდან: “შემთხვევითი თემები”. პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ქართველ მწერალ ქალთა სამხატვრო სალიტერატურო ალმანახის მე-2 ნომერში.

(...)

I was considerate in my every word.

Responsibility was in me since childhood.

Oh my god, I used to be so kind.

Now I've become vicious.

I think: Is there really not a single human on this earth that can fully understand the hunger of my soul?...

I don't want to be enslaved by my feelings.

Love that brightens one and abuses another is deplorable, I don't believe in such love.

I long for hatred! Hatred, with my every cell, with my nerve's every string, with my blood's every drop. My word should be soaked in venom and poison the atmosphere.

My vicious breath should shrivel the flowers, my bitter smile should slice the earth...

Okh, my heart should fill up with malice, so that it wont fit into the heart's socket, it should burst, it should spill out as toxin, it should deluge me fully...

My weak voice should turn to dreadful thunder.

My soft pace should bear down on the earth, so that the bones buried
for centuries may feel the pain and shudder.

Akh! Even the ocean can't fill my desires.

I have spat on the past.

I have rejected the present.

The future, I burn with my blazing eyes and I want all planets to
collapse onto each other, to forge a new universe:
ruled by my own laws.

(...)

1925

Excerpt from the book: *Random Themes*. First published in 1926 in the second issue
of the Georgian women's artistic literary almanac.

ესმა თნიანი
Esmā Oniani

ბეწვის ხიდი

შენ უნდა შესძლო წაშლა მიჯნათა,
მოვიღვიღე ხორც-სიაპით უსხეულო, უსურვილო შუქი გვაშუქო.
ის არსებობა არეს იქითა,
ნაგულისხმევი, არარსებული ის არსებობა,
ადამიანის გულის გულში ხსოვნად დებული,
თვალმოუკრავი, ნახველივით ამოუღები,
ის არსებობა, ჩვენმიერად არარსებული,
ჩვენმიერად უნდა გვასმინო;
ეს უნდა შეძლო მიწიერი, ტკბილი სხეულით
ტილოს ბედნიერ-ხორცოვანი წნული ხორკლებით –
წებოვანი საღებავის, მწვეთავი თეთრი ზეთის სისქით –
სახელოსნოს ნაცნობი სუნი –
ამოღრთქლილი ქიმის მწარე ნერწყვი.
მზინავ პატარა კუბოების ჭყლეტვით მოიზღაზნება
საღებავები. გამოსმობილა დაპრესილი, ფხვნილიანი
მოკვდინებიდან:

Tightrope

You must manage to erase the edges,
to cast the bodiless, passionless light on us
as if a scintillating bliss-in-flesh.
That existence beyond the verge,
that existence, nonexistent but implied,
nestled in the heart's kernel as a remembrance,
unrevealed, unreleased as mucus,
that existence, for our being in the world nonexistent,
you must deliver for us to comprehend;
This you must manage with an earthly, luscious body
with the blissful-fleshy weave of a coarse canvas –
with the thickness of dripping white oil, of a viscous paint –
familiar scent of the studio –
a bitter saliva of vaporized chemicals.
Slithering out from the crushing of tiny, shiny tombs
paints. Summoned out of the compressed, powdery death:

წითელი

გამოხმობილა ფხვნილიანი დაპრესილი მოკვდინებიდან
ენდროს ფესვები, ჭიების ყირმიზი ხვედრი;
ჭიაფერი, ტყვიის სურინჯი მე და ჩემს დას ნარინჯისფერ
კაბეზად გვახსოვს,
ეს ის დროა, როცა დედები გვიქარგავდნენ საყელოებს
აბრეშუმისას,
ან გვიკვებდნენ თითო ღილზე კისერთან შეკრულს,
ტალღურ-ფუშფუშას,
ყაისნალით საკუთარ ნაქსოვს.
სისხლი მოშივდა, მეწამული ყვავილების დიდი გუნდებით
პირის ავსება, ენის სრიალი ჩინურ ფარჩების ცეცხლოვან
ჩარჩოდ,
“გველეშაპის სისხლის” ოხშივარს გადმოსანთხევი სიწითლე
აბრჩობს;
საკონტროლოს დროს გაწითლებული ყურის ჩირაღდნით
ფრიადებზე ვწერდი “თემებს” და განვიცდიდი
სიცარიელეს და მოშივნებას ყელზე დამხობილ თავის
კოკორის,
და ხმაინებდა უბადებელი,
უცოდნელობის მწვავდა სახმილი!

შავი

გამოხმობილა ფხვნილიანი დაპრესილი მოკვდინებიდან
დამწვარი ძვლების, ყურძნის დამწვარი ძგიდეების
ჰაერუკმარი, შავი, ნახრუკი;
(“გუდრონის” სუნი – ქუჩაში ჩანან თეთრ წინსაფრებით
მოწყენილი მოწაფეები,
ცხელია შავ-თიმთიმა ახლად ასხმული ასფალტის ფაფა –
ბაბუას ფარნის, რკინიგზების, შავისა და სუნის კავშირი),
ატმის კურკების, ნაჭუჭების შავი გურგური,
გამჭვარტლული ოთახების ლამფის ყელის შავი არშია.
და ჩემს ბებიას ღაბუას და ღაბაბიანს,
შავ-ჭრელ თავშლიანს,
ხელმოცახცახეს ცრემლებით ვნატრობ.
ბავშვების შავი პეპლებივით ცეცხლში ჩაფერფვლა!
ჩვენო გიორგი,
ცრემლები მადრჩობს შენი პატარა მხრების, გულუბრყვილო
ღიმილის მცოდნეს,
დაუცველობა თეთრი შუქივით დაგდელავს ირგვლივ,

ორპირი ქართ ასე ადვილად გასასრუტს და გასაქროლებს შენი
თოთო გარემოცვიდან.

ვილაც მოვიდა,

ჩვენს ძველ კარებს არ აზრიალებს ზარი, მოვშალეთ –

თბილი კაკუნი, თითების და სახსრების ხლება

ყველას თავთავის სურნელით გვიმხელს,

ხეზე შრიალებს შერჩენილი ახლობლობის ცრუ მოძახილად.

Black

Summoned out of the compressed powdery death
burnt bones, burnt pulp of the grapes
their suffocated, black, cinder;
(Smell of the “tar” – saddened pupils
seen in the street wearing white aprons,
fresh smoldering-black asphalt mush is hot –
connection of grandfather’s torch, railway, black and the smell),
the black mush of the skin of peaches seeds,
the black ribbon of the oil lamp in rooms covered in soot.
And my grandmother, double chinned,
with a black-mottled headscarf,
with trembling hands, with tears I long for her.
In the fire charring of children into black butterflies!
Our Giorgi,
tears choke me, knowing your small shoulders,
your innocent smile,

vulnerability shrouds you as a white veil,
so easily swept away by the double-faced wind
from your nascent surroundings.

Someone arrived,
our old doorbell doesn't ring, we dismantled it –
the warm knock, the touch of fingers and joints
reveals everyone by their own scent,
rustling on the wood as a false call of lingering familiarity.

ყვითელი

ყვავილები, კენკრა, ქერქი, აღგზნებული ზაფრანა,
კვერცხისგულის ამოდევნა ნაღვლიანი სადინრებიდან;
ინდოეთის ყვითელ ალმურში მანგოს ფოთლებით ნაკვებ
ძროხების

შიგანიდან გადმოენთხევა,
განათდებიან აბრეშუმზე ოქროს შროშნები;
აქა-იქ აღდება
ფრესკების ფრთაჭრელ ფრთოსნებში, ბაღებში,
შიდა ეზოთა ღია ფანჯრებში, ყვთელ კოშკებში მდიმარ
ცალთვალა

პროფილების

ყურწინ ჩამოშლილ, ყვავილ-ფოთლოვან გირლიანდებში.

Yellow

Flowers, berries, bark, aroused saffron,
squeezing out the yolk from sorrowful ducts;
in the yellow blaze of India, fed by mango leaves, the cows
spill from within,
golden lilies illuminate the silk;
here and there it ignites
in the mottle-winged beings in frescoes, in the gardens,
in the open windows of inner courtyards, in the yellow towers,
smiling one-eyed
profiles
in the flower-leaved garlands, lolling in front of ears.

ვარდისფერი

ვარდისფერი ეს იყო წითლის დასაწყისი,
წითლის ფერმკრთალი შვილიკო.
კუთხეების თბილი სიბნელე შუაში მრგვალად გაბნეული –
აბაჟურქვეშ მაგიდა ღვივის,
გრძელდებოდა საბურგეები კეთილ ჩრდილებად,
შაქარ-ფქვილის თეთრ ხორკლებად “ბულკებზე” სიტკბო,
აბაჟურში გამოცრილი ვარდისფრად შუქი
ეფინებოდა მხრებზე გაროზს და
რალაც აბრით განათებული
ყველაფერი ვარდისფერი ნაზად ხარობდა.

ვარდების სუნის თბილ საღამოს წინკართან კმევა ბუჩქად
აჩრილი,
ჯერ სინათლეა, ჩუმი ქუჩით მოვყავართ დედას,
დაგვბრუნის სუნი მოყვითალო, ვარდისფრად მფრქვევი ტკბილი
კოკრებით,
დედას მკრედზე ფარფალა ბაფთად Crepe de Chine-ი
ვარდისფრად შლილი,
დაგვეყრია ჭრელად, ფოთოლ-ფოთოლ, შეტორტმანდა

ტროტუარიც

შერხეულ ჩრდილით,

მწვანე გვირაბად ჩაბურულ ქუჩას ბაკა-ბუკით სახლში
მოვყვებით.

იმ ვარდთა კმევა, მათრობელი, მუდმივად ნაზი სურნელის
კრთომით,

ამდენ ვარდებში ამოსაცნობი ნელი გემოს და ფერის მქონი, –
ნამცხვრების, ატმის, ჩანთაში ნაწილ თხელ

ცხვირსახოცის, კუთხეებჭრელის,

რულწაკიდებულ, სითბოდ აღმავალ, გამაბრუებელ საღამოს
გვარად

ამოიცნობა ცნობამიმხდელი ხსოვნის იცხადის მოტკბო
ვარვარად,

მოიფრქვევა უნელებელი – საღამო ღღვება, დაგვდის ზევიდან –
ტკბილ ნარინჯისფრად დენილ ვანილად ვარდების რბილი

ფურცელთ ხვრელიდან,

ის მოიფრქვევა უნელებელი თბილ საღამოდან, ტკბილ და
ბნელიდან.

Pink

Pink was the beginning of Red,
the pale offspring of Red.
From the middle into a circle spreads the warm darkness into
corners –
under the lampshade table gleams,
backrests elongate into gentle shades,
sweetness of sugar-powder's white crusts on buns,
through the lampshade light sifted in pink
spreads on the shoulders of the shawl
and enlightened by some notion
all that is pink flourished gently.

Wafting the scent of roses by the doorstep, erected as a bush in
the warm evening,
It's still light, mother leads us through the quiet street,
dizzying us with the scent of yellowish, pink-spraying
sweet buds,
mother's fluttering ribbon on her chest Crepe de Chine
unfurled in pink,

we - speckled leaf by leaf, and the sidewalk quivered

by the shadow's tremble,

shaded as a green tunnel through the street, we return home
step by step clomping.

That waft of those roses, intoxicating, with the trembling of a
perpetually gentle scent,

amongst so many roses, recognizable with its slow taste and color,

—

of cakes, peaches, of a thin mottle-cornered handkerchief

pressed in a bag,

slumbering, as a rising warmth, like a dizzying evening

revealed-forth conceives the sedative memory as a syrupy flame,

It wafts-forth unceasingly – the evening melts, it flows above –
into the sweet tangerine flowing vanilla

from the rose petal's soft hollow,

It wafts-forth unceasingly from the warm evening, sweet and dark.

ელენე დარიანი - ბაკრადე
Elene Dariani - Bakradze

პაოლოს

თუ გული მკვდარია, სიტყვამ რა გააწყოს,
სიტყვები ხომ გულის ნაჟური სისხლია.
უშენოდ, ძვირფასო, სდუმს ჩემთვის აწმყო.
აწმყოც ხომ ამ გულის ნაჟური ფიქრია.

თუ გადავხედავდით ჩვენ ერთად ჩვენს ტფილისს,
ტფილისი სამშობლოს მჩქეფარე ფიქრია.
ჩვენ მაშინ გავხსნიდით ჩვენს ფარულ თილისმას –
ელენე, პაოლო – ხომ გულის სისხლია.

თუ მტკვარი ზეიმობს სამშობლოს შხუილით,
სამშობლო ხომ გულის მგზნებარე სისხლია,
მე რატომ დამჩემდა უშენოდ დუმილი?!
დუმილიც, ძვირფასო, ხომ გულის ფიქრია.

თუ გზაში დაღლილი დავეცი მდუმარედ,
დაცემაც ხომ გულის ნაჟური სისხლია,
შენ მე მაპატიებ უშენოდ მთვლემარეს,
ჩათვლემაც ამ გულის ნაჟური ფიქრია.

ე-დ-ი

To Paolo

If the heart is dead, what's the word to do,
aren't words an essence of the heart's blood.
Without you, dearest, my present is mute.
Isn't present an essence of the same heart's thought.

If we would together look over our Tbilisi,
Tbilisi is a gushing thought of homeland.
We would then unveil our concealed talisman –
Elene, Paolo – aren't they the blood of the heart.

If Mtkvari rejoices with homeland in rumble,
isn't homeland an impassioned blood of the heart,
why has silence settled upon me without you?!
silence, my dear, is surely the thought of the heart.

If weary on road I fall silently,
my fall too is the essence of the heart's blood,
you must forgive me for sleeping without you,
for falling asleep is the essence of the same heart's thought.

E. D-I

სევდა

მეუბნებით, დავბერდი, სიხალისე დამაკლდა,
გულში დაგუბებულმა ცრემლმა თვალი დათალხა,
რომ მივტირი შორეულს, გადაკარგულს ქაჯეთში,
რომ დავექებ ორეულს ქუჩებსა და სახლებში.
ვერ მიშველით ვერავინ, კოშმარები მტანჯავენ,
მუდამ ის მეღანდება, ლურჯი ზოლით მაჯაზე,
ის ხან ტყვიის წინა დგას, ხან რკინებით დაღავენ,
ის იცლება სისხლისგან, დასცინიან, ლანძღავენ.
ქრისტეს მზერით, ტანჯული, უგუნურებს უყურებს,
არ უკვირს არაფერი, სიბრძნით მათ ანადგურებს,
შუბლზე სისხლი ქართული ჩამოჟონავს წვეთებად,
აფათურებს გრძელ თითებს, გული სევდით ევსება.
ბოლოს ღონემიხდილი მძიმედ ძირს დაეშვება,
სახე დაუნაღვლდება, ამ ქვეყანას ეცლება,
“ცა ფირუზო, ძვირფასო” - მწარედ ამოიკვნესებს,
“მეგობარო, მშვიდობით” - სულში ჩამომაწვეთებს.
იმეორებთ, დავბერდი, სილამაზე დამაკლდა,
სახე ჩამომიბნელდა, დარდმა თვალი დათალხა,
რომ მივტირი შორეულს გადაკარგულს ქაჯეთში,
რომ დავექებ ორეულს ქუჩებსა და სახლებში.

Sorrow

You tell me, I got old, I lost my spark,
tear accumulated in my heart has fogged my eye,
that I weep for the far-off, vanished one in Kajeti,
that I look for my double around the streets and houses.
None of you can help me, nightmares torment me,
always his apparition, with the blue lined wrist,
he is in front of a bullet, he is branded by iron,
he is losing his blood, he is mocked, he is scorned.
With Christ's gaze, tormented, he looks at the fools,
he, unflustered, destroys them with wisdom,
on his forehead Georgian blood seeps in drops,
he fumbles long fingers, his heart gets full with sorrow.
In the end he falls to the ground in exhaustion,
into gloom his face fades, from this world he fades away,
"Sky, turquoise, dear" - he will bitterly sigh,
"My friend, farewell" - he will drip into my soul.
You repeat, I got old, I lost my beauty,
my face has faded, despair has fogged my eye,
that I weep for the far-off, vanished one in Kajeti,
that I look for my double around the streets and houses.

1939

დაძვალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით,
მე ლოყაზე დამრჩა ფარჩა ცხელ პირის მოკარებით,
დაძვალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით,
ცრემლი ბლომად დაძვლვარა ერთ ღამის ნეტარებით.
დაძვალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით,
ჩემს დამტანჯველს ღმერთი დასჯის ქაჯათ გადაგვარებით.

P.S. შენ კი გული დაგვალა აძდენის შედარებით
(ნუ მოძიწვენ, კვლავ მიიღე უშნოდ ნაქარაგმები).
ჩემი გრძნობით უწინდებურს ველარ შევედარები,
აზრის წმინდა სამფლობელომ დამიკეტა კარები.

My wrist is weary from carrying heavy coral chain,
Your flaming lips left a spot on my cheek as ornate brocade,
My wrist is weary from carrying heavy coral chain,
I've shed tears profusely for the pleasure of one night.
My wrist is weary from carrying heavy coral chain,
God will punish my tormentor by transgressing him into fiend.

P.S. Yet your heart has grown weary from much comparing
(Don't get upset, still again accept these twisted verses).
In my feelings, I can no longer compare to my former self,
Sacred realm of thought has shut its doors to me.

საფო მგელაძე
Sapo Mgeladze

დიალოგები მე და ახალგაზრდა კრიტიკოსს შორის

ის – მე შენ ვეძახი პოეტებსა კარგს და ჭკვიანსა,
შენ კი უბრალო თიხას იღებ ხან თაბაშირად,
არ არის ღმერთი, არც სული აქვს ადამიანსა,
შენ კი ამ სიტყვებს აბურთავებ ლექსებში ხშირად.
მე – შენ, მეგობარო, რას უწოდებ, თუ ძლიერება
სილამაზესთან ჰარმონიით შენაერთია,
ყოველ დიდ საქმეს მე ვეძახი მშვენიერებას,
ყოველი დიდი პიროვნება ჩემთვის ღმერთია,
ის – სული?!

– მე არ მწამს სული, რა თქმა უნდა, ისეთი სული,
სიკვდილის შემდეგ სამოთხეში რომ გაფრინდება,
რაც კაცს ზევით სწევს, რაც გვამადლებს მე სულს ვეძახი,
არ არის სწორი?! მოსძებნეთ სხვა სახელწოდება.

Dialogues between me and a young critic

They – I call you a poetess, good and smart,
but you sometimes take clay for plaster,
there's no god, and human has no soul,
but you meddle with these words in your poems often.

I – you, my friend, what do you call it,
when strength and beauty are merged in harmony,
every big deed I call beauty,
every big personality is god for me,
they – and a soul?!

– I don't believe in a soul, the kind of course,
that after death travels to heaven,
that, which up-lifts, which elevates us I call a soul,
Is this wrong?! Then find another word.

მეგობარს

(კატო მიქელაძეს)

აქ ჩემს ირგვლივ უდაბნოა,
მეც უდაბნო გულით დამაქვს,
და ძვირფასო საგანძური
თუკი მქონდა, თუკი რა მაქვს,
მას ცხოვრების სინამდვილე
მინიავენს, მინადგურებს.
და ბნელ ფიქრებს, შავბნელ ფიქრებს,
ჩემი გულის მუდმივ მდგმურებს,
სადღაც მიჰყავთ ჩემი სული
და ინთება ჯოჯოხეთი.
ვიცი, ახლა ვერ დამიხსნის
ვერც დემონი, ვერც თვით ღმერთი.
მე ხომ ისე პატარა ვარ,
ისე სუსტი და სათუთი,
ვით ლერწამის ნაზი ტოტი,
ვით წკრიალა ბროლის ყუთი.
დავიმსხვრევი, საფვარელო,
გეუბნები, დავიმსხვრევი
და წამიღებს ნიაღვარი,
და წამიღებს ზღვის მორევი.

დამარწმუნე ერთხელ კიდევ
შენს უმწიკვლო სიყვარულში,
მომათავსე, მევობარო,
მაგ შენ ძლიერ, ამაყ სულში.
რომ იქ თავი შევაკრდომო,
რომ იქ სული შევაფარო,
დამიხსენი, გვევდრები,
დამიხსენი, მევობარო!
თუ არ გინდა შენი საფო,
დაიღუპოს, დაიკარგოს
და ცხოვრების შავ დაფაზე
ტანჯვის ცეცხლად აიქარგოს,
ერთხელ კიდევ მოდი ჩემთან,
ერთხელ კიდევ მომეც ხელი.
უდაბნოში დარჩენილი
კვლავ გეძახი, კვლავ მოგელი.

1921

To a Friend

(To Kato Mikeladze)

Here around me is a desert,
I too carry a desert in my heart,
My dear, if I had any precious treasure,
If I have anything at all,
The reality of life
Blows it away, wrecks it.
And dark thoughts, pitch-black thoughts,
My heart's permanent dwellers,
Carry my soul away
And there ignites hell.
I know, no one can save me now
Not the demon, not even god.
I am so small,
So weak, so frail,
As a thin reed twig,
As a tinkling crystal box.
I will shatter, my dear,
I tell you, I will shatter
And the flood will carry me away,
And the whirlpool will carry me away.

Convince me once again
Of your pure love,
Place me, my friend,
In your strong, proud soul.
So that I may take refuge there,
So that I may shelter my soul there,
Save me, I beg you,
Save me, my friend!
If you don't want your Sapo,
To be perished, to be lost,
To be embroidered as a flame of torment
On life's black board,
Come to me once more,
Once again give me your hand.
Stranded in the desert
I call for you again, I wait for you still.

1921

ბაბილინას

ქალი თავნება, გრძნობით სავსე ხარ და იყავი,
ბევრი ეცადა შენს გაკიცხვა – გასამართლებას
და პოეტ ქალად ქვეყნად რომ არ შობილიყავი,
შენში ვაკხანკა იპოვნიდა სრულ გამართლებას.

შენი თვალები დღესაც აფრქვევს ელვის ნაპერწკლებს,
ვნების ნალარას თვით არ ვიცი მაგ მკერდში ვინ სცემს,
დატოვებ სახლში მონავარდუ შავგვრემან მერცხლებს
და სომნამბულით დატვირთული ეძახი პრინცებს.

მოდიან, როგორც სპარსეთიდან ძველი ხანები,
გვხვდიან მხეველებად, საყვარლებად, ლამაზ მონებად,
საქართველოში აშენდება ჰარამხანები,
თუ ჩვენ არ გავხდით აზროვნების ამაზონებად.

უნდა დავლექოთ რკალი, ჩვენ წინ რომ დაიხლართა,
ჩვენ რომ უხეშად ნაპერწკლებში გადაგვისროლენ,

როს გამარჯვებულთ ცა დაგვხურავს აღისფერ კალთას
და მბრძანებელნიც ქედმოხრილნი ბოდიშით მოვლენ,

მაგრამ კი ზევსი მოვისყიდოთ წმინდა ტარიფით,
გავწიოთ ზევით პარნასისკენ პოეტურ გზნებით,
რჩეულ დავ, რჩეულ ქალთა რჩეულთა რიგში
ამ მძაფრ ბრძოლაში ამაყურად ერთად ვიქნებით.

To Babilina

You were and are a willful woman, full with feelings,
many have tried to scorn – and judge you
and into this world if you wouldn't come as a poet,
Bacchus would find its fitting home within you.

Your eyes till today throw sparks of thunder,
what is marching the drums of passion in your chest I know not,
you leave the fluttering dusky swallows in your house
and heavy from sleepwalking you call for the princes.

They come, as Persian khans,
they turn us to servants, lovers, concubines,
harems will be built in Georgia,
if Amazons of thought we don't become.

We must shatter this rim, tangled around us,
they did throw us crudely into ashes,

when sky covers its crimson wing over us – the victors
and the rulers will come bowing repenting,

but let's corrupt Zeus with the pure tariff,
let's head to Parnass with the poet's fervor,
chosen sister, in the chosen row of chosen women
proudly we will stand together In this severe battle.

ბაბიღინა ხოსიტაშვილი
Babilina Khositashvili

ხლართი

ვერ ამოვქსელე! რარიგ ხლართია...
რარიგ ხლართია მონობის ძაფი!
ვერ ამოვქსელე, დავიღალე და
არღარაისთვის აღარ ვისწრაფი!

დუმილსა ვრჩეობ, კარგს ვერას გეტყვი,
მხიარულ ამბავს ვერ მოგიყვებით,
სევდამ დაახშო სიმხიარულე
და კაეშანმა დაქოლა ქვებით.

კარგს ვერას გეტყვით! კაეშნის ხლართი
ისე მაწუხებს და მიმორჩილებს,
“წყურვილი ტანჯავს მაძიებელ სულს!”
ლამის შევჩივლო პატარა შვილებს.

ვერ ამოვქსელე, ერთობ ხლართია
ოჯახში, დედის მონობის ძაფი!
ვერ გამოვაგე, დავიღალე და
არღარაისთვის აღარ ვისწრაფი.

Tangle

I couldn't unweave it! quite a tangle...
Such a tangle is a thread of slavery!
I couldn't unweave it, I'm exhausted and
I strive towards nothing!

I choose silence, I have no good news,
I have no joyful tale to tell,
Sorrow has barred off delight
And anguish stoned it to death.

I have no good news! tangle of anguish
Tumults and conquers me,
"Thirst tortures the seeking soul!"
I almost want to moan to my children.

I couldn't unweave it, what a tangle
Mother's slavery thread in the family!
I couldn't unravel, I'm exhausted and
I strive towards nothing.

მარტო

ვინ რასა ჰკითხავს, ვინ რაღას ჰკითხავს
ჩემს ყოფნას ესდენ ბნელში გახვეულს!
თუ მარტო დავრჩი, მარტო თუ დავრჩი,
მაშინღა გავხსნი ლექსების რვეულს...

აი, მარტო ვარ, ცოტა ხნით მაინც,
მე ფიქრთა დენას არვინ ამირევს,
მარტო! – ისე ვხსნი ლექსების რვეულს,
როგორც ნაქურდალს, როგორც ნაპარავს.

რაღა?.. ჰო, ალბათ, დიდ ქვეყანაში
თუ დავეკარგე თვალაბმულ ბედსა
და შთაგონების, განცდების ნაცვლად
ბორკილიღა მხვდა მე შემოქმედსა!

ვინ დედაკაცი, ვინ შემოქმედი?
ვინ დედაკაცი! – იტყვის სოფელი;

დიდხანს და დიდხანს იხითხითებენ
მამაკაცი და მეფისტოფელი.

ვინ რასა ჰკითხავს, ვინ რაღას ჰკითხავს
ჩემს ყოფნას ასე ბნელში გახვეულს!
შემოქმედს აღარ დამიძახებენ,
აღარც გადავხსნი ლექსების რვეულს.

1915

Alone

Who will ask and what, who will still ask
My being shrouded in such dark!
If I'm left alone, if alone I am,
Only then I'll open notes of my poems...

Here now, I'm alone, at least for a bit,
No one will meddle with the flow of my thoughts,
Alone! - I open the notes of my poems,
As a thief, as if it's something sneaked in.

Why so?.. well, maybe in such a vast world
The blind destiny will lose me
And instead of inspiration and feelings
Jackals will befall me-the creator!

What a woman? What a creator?
What a woman! – lot of the world will say;

Plenty, plenty they will giggle
A man and a Mephisto.

Who will ask and what, who will still ask
My being shrouded in such dark!
No longer will they call me a creator,
No longer will I open notes of my poems.

1915

დომენიკა ერისთავი / განდეგილი
Domenika Eristavi / Gandegili

პოეტის ფიქრი

მე შემიძლია თვით სამოთხე ტანჯვად ვაქციო
და ჯოჯოხეთსაც მივანიჭო ზეცის შვენება

მე შემიძლია გაზაფხული, ზამთრად შევცვალო.
და ზამთარი კი, ავაყვავო ვით გაზაფხული.
ზღვანი დავაშრო, ქართა ქროლვა შევკრა შევბოჭო,
ცა ავატირო, ქვესკნელმა სთქვას ტკბილი მაყრული.

მამ, რად არ ძალმიძს მეფის ტახტი დავცე, დავამხო,
მისი სალარო დაურიგო ღარიბთ და გლახათ.
და ის პორფირი რომელიც მას მხარ-ბეჭს უმშვენებს
მისივე სკიპტრა ცად აღვმართო ხსნის ბაირალად?

ერი უძლური დაჩვეული კერპთა მონობას
ვისხნა და ვამცნო ვით დაიცვან თავის მამული
მათ წინ წაუძღვე, ვით მოსე ებრაელთა ერსა
და მისებრ კვერთხით განვაპო მეც ზღვა მეწამული.

1896

The Thought of a Poet

I can turn even the paradise to anguish
And grant the luster of heavens to hell

I can turn the spring to winter.
And make the winter bloom as a spring fair.
I can part the seas, chain the blowing of the winds,
Make the heaven weep, and the abyss sweetly sing.

Then, why can't I turn over the throne of the king,
Give his treasury to the poor and wretched.
And that mantle, gracing his shoulders
Why can't I raise his scepter to the sky as herald of salvation?

A feeble nation, accustomed to the yoke of idols
I will rescue and teach them how to guard their land
Before them I would lead, as Moses led his kin
And with my staff I'd part the crimson sea.

1896

გავკვანძავ სიმსა გაწვევტილს
ავამკვნესარებ ძალადა,
გავკრავ გამოვკრავ თითებსა
ჩაუხმატკბილებ წყნარადა.

გულს ტალად ვაქცევ, სულს კვესად
გრძნობას მწველ ნაპერწკალადა,
აბედათ – მთელსა არსებას
გარდაქმნილს ყინულ სალადა,

ცეცხლს მოუკიდებ მის გუგუნს, –
ვიტყვით ტკბილ მოძახილადა,
ავაფრთოვანებ ოცნებას
ასე მივარდნილს ძილადა.

გავანავარდებ ცისაკენ
შევაკამათებ მოვარესა,
კვკლუცად მონარნარესა.

მზე რომ ცის ისარს შესტყორცნის,
შეუთამაშებ სხივებსა
მეც ჩემს ფერფლს იმის ციმციმში
ჩავექარგავ როგორც მძივებსა.

1902

I'll knot the broken string
I'll force it to moan,
I'll sweep my fingers to and fro
And gently I will sing through.

My heart I'll turn into flint, my soul - into firesteel
My feeling into a fervent spark,
And my whole being – frozen to solid ice
I'll turn to a blazing soul,

I'll set fire to its rumble, –
With sweet calls of jubilation,
I'll wing-up my dreams
Thus fallen to slumber.

I'll sweep them to heavens
I'll challenge the moon,
Coquettely swaying.

When the sun hurls its arrow to the sky,
I'll play with its rays
And my ashes into their shimmer
As beads on a string I will embroider.

1902

ბიოგრაფიები
Biographies

მარიჯანი (მარიამ ტყემალაძე)

1890-1978

მარიჯანი პოეტი ქალის, მარიამ ტყემალაძის ფსევდონიმია. ამ სახელით იგი პირველად წარსდგა მკითხველის წინაშე 1916 წელს. 1921 წელს გამოიცა მისი პოეზიის პირველი კრებული.

მარიჯანის პოეზიას ახასიათებდა იმ დროისთვის განსაკუთრებული სითამამე, სადაც განიხილავდა ისეთ საკითხებს, როგორც ქალის სექსუალობაა. ეროტიული შინაარსის და სხვა მიზეზების გამო საბჭოთა კავშირის აკადემიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა პოეტი ქალი, რომელმაც 1926 წლიდან საბავშვო პოეზიას და პროზას მიჰყო ხელი. ამ პერიოდში იგი ასევე მუშაობდა თარგმანზე და ძირითადად რუსულ ლიტერატურას თარგმნიდა.

მხოლოდ 1960-იან წლებში ქვეყნდება მისი რამდენიმე პოეტური კრებული, თუმცა დიდი მასალა კვლავაც გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელია.

Marijan (Mariam Tkemaladze)

1890-1978

Marijan is the pseudonym of the female poet, Mariam Tkemaladze. She first appeared before readers under this name in 1916. In 1921, her first collection of poetry was published.

Marijan's poetry was characterized by exceptional boldness for its time, addressing issues such as female sexuality. Due to its erotic

content and other reasons, the female poet was unacceptable to the Soviet Union's Academy. From 1926, she turned her hand to children's poetry and prose. During this period, she also worked on translations, primarily translating Russian literature.

Only in the 1960s were several of her poetry collections published, though a large amount of material remains unpublished and unstudied.

ესმა ონიანი

1938-1999

ესმა ონიანი ფერმწერი, პოეტი და ესეისტი იყო. ხელოვნებათმცოდნეები მისი მხატვრული ენის ჩამოყალიბებას 1970-იან წლებს მიაკუთვნებენ. იგი იყო სსრკ დამსახურებული მხატვარი, გარდაცვალებისთანავე კი როგორც მხატვარს, მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ონიანის სიცოცხლეში გამოიცა მისი პოეზიის ოთხი კრებული, მათ შორისაა: “ლექსები”, გამომცემლობა მერანი, 1978, „ჩუმიად მოდიან ფრინველები“, გამომცემლობა მერანი, 1982 და სხვ.

მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა პოეზიამ და ესეისტიკამ მეტი დაფასება ჰპოვა. გამოიცა მისი კრებულები: “ლექსები, ესეები, წერილები”, 2000; ესმა ონიანი, “ასი ლექსი”, გამომცემლობა “ინტელექტი”, 2010; ესმა ონიანი “ისევ მე ვარ?! ისევ მოვსულვარ!”, 2021, გამომცემლობა “არტანუჯი” და სხვ. მისი პოეზია შესულია მრავალ კრებულში.

ონიანი თავისი თაობის შემოქმედთაგან გამოირჩევა როგორც პოეზიით, ასევე ანალიტიკური სახის ესეებითა და წერილებით. კრიტიკულ ნაშრომებში, იგი საუბრობს პოეზიის მნიშვნელობაზე, სტრუქტურასა და სტილზე. წერილებში მიმართავს თავის თანამედროვე რეჟისორებს, მწერლებს, მხატვრებს და სხვა შემოქმედებს.

Esma Oniani

1938-1999

Esma Oniani was a painter, poet, and essayist. Art historians attribute the formation of her artistic language to the 1970's. She was an Honored Artist of the USSR, and after her death, she was awarded the State Prize of Georgia as an artist.

During Oniani's lifetime, four collections of her poetry were published, including: *Poems*, Merani Publishing House, 1978, *Birds Soaring Quietly*, Merani Publishing House, 1982, and others.

After her death, her poetry and essays gained more appreciation. Her collections were published: *Poems, Essays, Letters*, 2000; Esma Oniani, *One Hundred Poems*, Intellect Publishing House, 2010; Esma Oniani *Is It Still Me?! I've Come Again!*, 2021, Artanuji Publishing House, and others. Her poetry is included in many collections.

Oniani stands out among the creators of her generation both for her poetry and for her analytical essays and letters. In her critical works, she discusses the importance, structure, and style of poetry. In her letters, she addresses her contemporary film and theater directors, writers, artists, and other creators.

ელენე დარიანი - ბაქრაძე

1897-1979

ელენე დარიანი პოეტი ქალის, ელენე ბაქრაძის ფსევდონიმია.

ელენეს პოეზიას ლიტერატურის ისტორიაში ხშირად მის მეგობარს პაოლო იაშვილს მიაწერდნენ, რადგან იაშვილის სახელით ქვეყნდებოდა მისი “დარიანული ციკლი”. მოგვიანებით საარქივო მასალაზე დაყრდნობით, ისტორიკოსები “დარიანული ციკლის” ავტორად ელენე ბაქრაძეს მიიჩნევენ. ციკლი 14 ლექსს აერთიანებს, სადაც ავტორი ქალის ეროტიულ და სასიყვარულო გრძნობებზე იმ დროისთვის განსაკუთრებული სითამამით საუბრობს.

ცნობილი ქართველი კაცი პოეტების და შემოქმედების კოლექტივის “ცისფერყანწელების” ახლო მეგობარი, საბჭოთა ცენზურისა და სოციალურ-კულტურული ნორმების დარღვევის ასარიდებლად, პოეტი ქალი თავს აფარებდა კაცი პოეტის სახელს.

პაოლო იაშვილის ფიგურის მნიშვნელობა ელენე დარიანის შემოქმედებაში ნათლად ჩანს. იაშვილმა 1937 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ცისფერყანწელთა რეაბილიტაციის შემდეგ, 1959 წელს გამოვიდა მისი პირველი პოეზიის კრებული, რომელიც “დარიანულ ციკლსაც” მოიცავდა. ცნობილია, რომ ელენე დარიანმა კრებულის გამოცემისას უშედეგოდ სცადა საკუთარი საავტორო უფლებების დაცვა.

დარიანი ხშირად იცვლიდა პოეტის სახელს. საკუთარი სახელით გამოცემული ლექსებიდან მხოლოდ ორია ცნობილი:

“თავად დარიანს” (გაზეთი „ბახტრიონი“ N24, 1922) და
“სიმარტოვე“ (გაზეთი „ქართული სიტყვა“ N26, 1924).

2021 წელს საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული
ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა გამოსცა ელენე
დარიანი-ბაკრადის პირველი მრავლისმომცველი პუბლიკაცია,
სადაც შესულია პოეტი ქალის ლექსები, წერილები,
თარგმანები და საარქივო მასალა.

Elene Dariani-Bakradze

1897-1979

Elene Dariani is the pseudonym of the female poet, Elene
Bakradze.

Her poetry in literary history was often attributed to her friend
Paolo Iashvili, as it was published under Iashvili’s name as the
Darianian Cycle. Later, based on archival materials, historians con-
sider Elene Bakradze to be the author of the *Darianian Cycle*. The
cycle comprises 14 poems, where the author speaks about women’s
erotic and romantic feelings.

A close friend of famous Georgian male poets and the creative
collective *Blue Horns*, the female poet used a male poet’s name to
avoid Soviet censorship and oppression by socio-cultural norms.

The significance of Paolo Iashvili’s figure in Elene Dariani’s work
is evident. Iashvili ended his life by suicide in 1937. After the
rehabilitation of the *Blue Horns*, his first poetry collection, which
included the *Darianian Cycle*, was published in 1959. It’s known

that Elene Dariani unsuccessfully attempted to protect her copy-right during the publication of the collection.

Dariani often changed her poet's name. Only two poems published under her own name are known: *To Prince Darian* (newspaper *Bakhtrioni* N24, 1922) and *Solitude* (newspaper *Kartuli Sitqva* N26, 1924).

In 2021, the Georgian State Museum of Literature published the first comprehensive publication of Elene Dariani-Bakradze, which includes the female poet's poems, letters, translations, and archival materials.

საფო მგელაძე

1894-1936

საფო გიგინეიშვილი (მგელაძე) დაიბადა გურიის სოფელ ჯურყვეთში აზნაური იოსებ გიგინეიშვილის ოჯახში. მგელაძე მისი ქორწინების გვარია, რომელსაც ცხოვრების ბოლომდე ატარებდა.

პოეტის შემოქმედება გამოირჩევა ფსევდონიმების სიმრავლით. ადრეული ასაკიდან მისი პოეზია იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: “კავკასიონი”, “ჩვენი გზა”, “ტრიბუნა”, “კომუნისტი”, “ხმა ქართველი ქალისა”; “ლიტერატურული საქართველო”, “პროლეტარული მწერლობა”, “ლომისი”, “ქართული მწერლობა”, “მნათობი” სახელებით: “გურული ქალი”, “ეწერელი ქალი”, “მუშა ქალი”, “სანი”.

1928-1935 წლებში გამოქვეყნდა საფო მგელაძის რომანები:

“ლიანა ლორდია”, “ქარიშხლის ფრთებზე”, “გზა და გზა”.
1931 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული
„პრელუდია“, 1968 წ. გამოიცა მისი პოეზიის და პროზის
კრებული „რჩეული“.

მგელაძის შემოქმედება მოიცავს როგორც სატრფიალო
ლირიკას, ისევე პოლიტიკური გზავნილების მქონე პოეზიას,
თუმცა ეს და სხვა განსხვავებული თემები ერთიანდება ქალის
ფიგურის გარშემო, როგორც მისი შემოქმედების მთავარი
ღერძი.

1922 წ. საფო თბილისში დასახლდა, სადაც განაგრძობდა
მუშაობას, როგორც მწერალთა კავშირის წევრი. მისი
თბილისის ბინა იმ დროის პოეტების თავშეყრის ადგილად
იქცა, რომელსაც სტუმრობდნენ: მარიჯანი, დარია ახვლედიანი,
ტერენტი გრანელი, ლადო ასათიანი, გალაკტიონ ტაბიძე და
სხვ. თუმცა, განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი მეგობრობა
საზოგადო მოღვაწე კატო მიქელაძესთან. მიქელაძის სახელს
უკავშირდება საფო მგელაძის ინტერესი ქალის თავისუფლების
და თანასწორობის იდეების მიმართ, რასაც დაუმალავად
აღწერს საკუთარ შემოქმედებაში.

Sapo Mgeladze

1894-1936

Sapho Gigineishvili (Mgeladze) was born in the Gurian village of
Jurkveti, in the family of the nobleman Ioseb Gigineishvili. Mge-
ladze is her married name, which she carried until the end of her life.

The poet's work is distinguished by a multitude of pseudonyms.

From an early age, her poetry was published in magazines and newspapers: *Kavkasioni, Chveni Gza, Tribuna, Komunisti, Khma Kartveli Kalisa, Literaturuli Sakartvelo, Proletaruli Mtserloba, Lomisi, Kartuli Mtserloba, Mnatobi* under the names: *woman from Guria, woman from Etsera, female worker* and *Sani*.

Between 1928-1935, Sapho Mgeladze's novels were published: *Liana Lordia, On the Wings of the Storm, Along the Way*. In 1931, her first collection of poems *Prelude* was published, and in 1968, a collection of her poetry and prose *Selected Works* was released.

Mgeladze's work includes both love lyrics and poetry with political messages, though these and other diverse themes are united around the figure of the woman as the main axis of her work.

In 1922, Sapho settled in Tbilisi, where she continued to work as a member of the Writers' Union. Her Tbilisi apartment became a gathering place for poets of that time, visited by: Marijan, Daria Akhvlediani, Terenti Graneli, Lado Asatiani, Galaktion Tabidze, and others. However, her friendship with the public figure Kato Mikeladze is particularly notable. Mikeladze's name is associated with Sapho Mgeladze's interest in ideas of women's freedom and equality, which she openly describes in her own work.

ბაბილინა ხოსიტაშვილი

1884-1973

ბაბილინა (ბარბარე) ხოსიტაშვილი იყო ქართველი ფემინისტო პოეტი, მკვლევარი, პუბლიცისტი და შრომითი უფლებების დამცველი.

ბაბილინა დაიბადა სოფელ ბოდბისხევში, კახეთში სოფლის დიაკვანის ოჯახში. ახალგაზრდობაში ბოდბის მონასტრის პანსიონში შევიდა, თუმცა მალე გაუცრუვდა იმედი და მონაზნობის გადაწყვეტილებაზე უარი თქვა.

1901 წ. იგი თბილისში დასახლდა. მუშაობდა სტამბაში. 1907-1910 წწ. ასწავლიდა წერა-კითხვის უცოდინართა საკვირაო სკოლებში; 1921 წ. ჩააბარა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიურ-ისტორიული ფაკულტეტზე და სიდუხჭირის მიუხედავად 1929 წ. შესძლო სწავლა დაემთავრებინა. 1921 წლიდან იყო საბჭოთა მწერლების კავშირში ბიბლიოთეკის გამგე; მუშაობდა ჟურნალ “ჯეჯილის” კორექტორად და ექსპედიტორად; 1936 წელს ბორჯომის რაიაღმასკომის გაზეთის რედაქციაში ლიტერატურულ მუშაკად და სტილისტად;

1905 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი გაზეთ “მიწაში”; მომდევნო ლექსი ყოველკვირეულ ჟურნალ “გლეხში”; პირველი ლექსები, მუშათა კლასის მდგომარეობას და ბრძოლას აღწერდა, მოგვიანებით, სიყვარულის თემას და იმ დროის ქალების საკითხებს. მისი ლექსების მთავარი მოტივი ქალის თანასწორობის საკითხების გარშემო იკვრება.

საკუთარ ნაშრომებში ხოსიტაშვილი განიხილავს ქალის სექსუალობას, ქალისა და კაცისთვის წინასწარ განსაზღვრულ პასიურ და აქტიურ როლებს და სიამოვნების საკითხს. ეხება ისეთ თემებს, როგორცაა: მაკიაჟი, პროსტიტუცია, თავისუფალი სიყვარული, რეპროდუქცია. ბაბილინა ხოსიტაშვილის ხელნაწერებიდან ჩანს, რომ ის აქტიურად აკვირდებოდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს: ფემინისტურ მოძრაობას, სუფრაჟიზმს და ქალთა ემანსიპაციასთან დაკავშირებულ ზოგად ტენდენციებს. საკუთარ ნაშრომებში, ის ამ პროცესებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს ადარებდა.

Babilina Khositashvili

1884 -1973

Babilina (Barbare) Khositashvili was a Georgian feminist poet, researcher, publicist, and labor rights advocate.

Babilina was born in the village of Bodbishkhevi, Kakheti, in the family of a village deacon.

In her youth, she entered the Bodbe Monastery boarding school, but soon became disillusioned and abandoned her decision to become a nun.

In 1901, she settled in Tbilisi. She worked in a printing house. From 1907-1910, she taught in Sunday schools for the illiterate; In 1921, she enrolled in the Philological-Historical Faculty of Tbilisi State University and, despite poverty, managed to complete her studies in 1929. From 1921, she was the library manager in the Soviet Writers' Union; she worked as a proofreader and expeditor for the magazine *Jejili*; In 1936, she worked as a literary worker and stylist in the editorial office of the Borjomi District Executive Committee newspaper.

Her first poem was published in the newspaper *Mitsa* in 1905; the next poem in the weekly magazine *Glekhi*; Her early poems described the condition and struggle of the working class, later focusing on the theme of love and women's issues of the time. The main motif of her poems revolves around issues of women's equality.

In her works, Khositashvili discusses female sexuality, predetermined passive and active roles for women and men, and the issue

of pleasure. She touches on topics such as makeup, prostitution, free love, and reproduction. Babilina Khositashvili's manuscripts show that she actively observed global processes: the feminist movement, suffragism, and general trends related to women's emancipation. In her works, she compared these processes to those occurring in Georgia.

დომინიკა ერისთავი / განდევილი

1864-1929

დომენიკა ერისთავი საზოგადო მოღვაწე და პოეტია, რომელიც “განდევლის” ფსევდონიმით წერდა. ის, აგრეთვე, იყო პირველი კორექტორი ქალი. მას უწოდებდნენ ქართველ ჟორჟ სანდს. თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებთან: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „თემი“, „ნობათი“, „ფასკუნჯი“, „სახალხო ფურცელი“, „ალმანახი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“ და სხვა. 1904 წელს დომენიკა ერისთავი ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორად დაინიშნა.

ის იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში ქალთა პირველი ორგანიზაციის - „ქართველ ქალთა საზოგადოება“, რომელიც აქტიურად იყო ჩართული საგანამანათლებლო საქმიანობაში, მშრომელთა უფლებების დაცვასა და ფინანსურ უზრუნველყოფაში. მის სახელს უკავშირდება საჩაიე “ძმური ნუგეშის” დაარსებაც.

პირველი ლიტერატურული აღიარება მოუტანა მოთხრობამ „მარინე“ (1897). მუშაობდა პუბლიცისტიკაში, კრიტიკაში, სისტემატურად აქვეყნებდა კრიტიკულ წერილებს. ავტორია მრავალი მინიატურის, ნოველისა, თუ ფელეტონის.

მისი ლექსებისა და მოთხრობების პირველი კრებული გამოქვეყნდა 1910 წელს, ლექსების კრებული - 1918.

Domenika Eristavi / Gandegili

1864-1929

Domenika Eristavi was a public figure and poet who wrote under the pseudonym “Gandegili” (Hermit). She was also the first female proofreader. She was called the Georgian George Sand. She collaborated with periodicals such as *Iveria*, *Tsnobis Purtseli*, *Kvali*, *Temi*, *Nobati*, *Paskunji*, *Sakhalkho Purtseli*, *Almanakhi*, *Jejili*, *Nakaduli* and others. In 1904, Domenika Eristavi was appointed as the editor of the magazine *Nobati*.

She was one of the founders of the first women’s organization in Georgia - *Georgian Women’s Society*, which was actively involved in educational activities, protection of workers’ rights, and financial support. The establishment of the tea house *Brotherly Solace* is also associated with her name.

Her first literary recognition came with the story *Marine* (1897). She worked in journalism and criticism, systematically publishing critical letters. She is the author of many miniatures, short stories, and feuilletons. Her first collection of poems and stories was published in 1910, and a collection of poems in 1918.

ბიბლიოგრაფია / Bibliography

- აბზიანიძე, ზ. (2020). ქართველი მწერლები ეპოქათა ჭრილში. გვ. 423-424.
- ბაქრაძე დარიანი, ე. (2022). ლიტერატურის მუზეუმი. გვ. 476, 492, 494.
- გაზეთი “ბახტრიონი”. (1922). N24.
- გაზეთი “ივერია”. (1896). #20, გვ. 8.
- გაზეთი “ქართული სიტყვა”. (1924). N26.
- გაზეთი “ცნობის ფურცელი”. (1902). #1885.
- გიორგი ლენინის სახ. ქართ. ლიტ. მუზეუმი. (2013). მწერალთა ავტობიოგრაფიები. წ. 1. თბილისი. გვ. 423-430.
- მარიჯან. (2021). დანართი. გვ. 6, 9, 15.
- მგელაძე, ს. (1991). ალაშარა. სოხუმი. გვ. 63-64, 72-74.
- ონიანი, ე. (2021). ისევ მე ვარ?! ისევ მოვსულვარ!.. არტანუჯი. გვ. 35-36, 38, 40, 42.
- ჩიხლაძე, ნ. და ერისთავი, დ. (1960). განდევილი, მონოგრაფია. საბჭოთა საქართველო. გვ. 43-44.
- სოსიტაშვილი, ბ. (1973). ლექსები. მერანი. გვ. 67, 77-78.
- Heinrich Böll Foundation. (2014). მარიჯანი. <https://feminism-boell.org/ka/2014/01/28/marijani>
- Heinrich Böll Foundation. (2014). Marijani. <https://feminism-boell.org/en/2014/01/22/marijani>
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. (n.d.). ონიანი ესმა. <https://art.gov.ge/ge/portfolio/%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%98-%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%9b%e1%83%90/>
- Ministry of Culture, Sports and Youth of Georgia. (n.d.). Oniani Esmā. <https://art.gov.ge/en/portfolio/oniani-esma/>
- Heinrich Böll Foundation. (2014). ელენე დარიანი (ბაქრაძე). <https://feminism-boell.org/ka/2014/02/10/elene-dariani-bakraze>
- Heinrich Böll Foundation. (2014). Elene Dariani (Bakradze). <https://feminism-boell.org/en/2014/02/14/elene-dariani-bakradze>
- Heinrich Böll Foundation. (2014). საფო გიგინეიშვილი (მგელაძე). <https://feminism-boell.org/ka/2014/02/12/sapo-gigineishvili-mgelaze>

Heinrich Böll Foundation. (2014). Sapó Gigineishvili (Mgeladze). <https://feminism-boell.org/en/2014/02/06/sapo-gigineishvili-mgeladze>
ნათება. (n.d.). ხოსიტაშვილი ბაბილინა. <http://nateba.webbreeze.net/biographies/101-khositashvili>
Oxford Feminist E-Press. (n.d.). Babilina Khositashvili. <https://oxfordfeministepress.com/babilina-khositashvili/>
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (n.d.).
ხოსიტაშვილი ბაბილინა. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00001741/>
Heinrich Böll Foundation. (2014). განდევილი (დომინიკა ერისთავი). <https://feminism-boell.org/ka/2014/02/15/gandegili-domenika-eristavi>
Heinrich Böll Foundation. (2014). Gandegili (Domenika Eristavi). <https://feminism-boell.org/en/2014/02/10/gandegili-domenika-eristavi>
www.atinati.com მეწამულისფერი სფუმატო, კონსტანტინე ბოლქვაძე, 24/09/2024; <https://www.atinati.com/news/66ecb34ee3a285004ee1468e>

/

Abzianidze, Z. (2020). Georgian Writers Through the Ages. pp. 423-424.
Bakradze Dariani, E. (2022). Literature Museum. pp. 476, 492, 494.
Newspaper “Bakhrioni”. (1922). N24.
Newspaper “Iveria”. (1896). #20, p. Z.
Newspaper “Kartuli Sitqva”. (1924). N26.
Newspaper “Tsnobis Purtseli”. (1902). #1885.
Georgian Literature Museum named after Giorgi Leonidze. (2013). Writers’ Autobiographies. Vol. 1. Tbilisi. pp. 423-430.
Marijan. (2021). Danarti. pp. 6, 9, 15.
Mgeladze, S. (1991). Alashara. Sokhumi. pp. 63-64, 72-74.
Oniani, E. (2021). Is It Still Me?! Have I Come Again?.. Artanuji. pp. 35-36, 38, 40, 42.
Chikhladze, N. and Eristavi, D. (1960). Gandegili, Monograph. Soviet Georgia. pp. 43-44.
Khositashvili, B. (1973). Poems. Merani. pp. 67, 77-78.
Heinrich Böll Foundation. (2014). Marijan. <https://feminism-boell.org/en/2014/01/22/marijani>
Ministry of Culture, Sports and Youth of Georgia. (n.d.). Oniani Esmá. <https://art.gov.ge/en/portfolio/oniani-esma/>

Heinrich Böll Foundation. (2014). Elene Dariani (Bakradze). <https://feminism-boell.org/en/2014/02/14/elene-dariani-bakradze>

Heinrich Böll Foundation. (2014). Sapo Gigineishvili (Mgeladze). <https://feminism-boell.org/en/2014/02/06/sapo-gigineishvili-mgeladze>

Nateba. (n.d.). Khositashvili Babilina. <http://nateba.webbreeze.net/biographies/101-khositashvili>

Oxford Feminist E-Press. (n.d.). Babilina Khositashvili. <https://oxfordfeministepress.com/babilina-khositashvili/>

National Parliamentary Library of Georgia. (n.d.). Khositashvili Babilina. <http://www.nplg.gov.ge/bios/en/00001741/>

Heinrich Böll Foundation. (2014). Gandegili (Domenika Eristavi). <https://feminism-boell.org/en/2014/02/10/gandegili-domenika-eristavi>

www.atinati.com PURPLE SFUMATO, Konstantine Bolkvadze, 24/09/2024; <https://www.atinati.com/news/66ecb34ee3a285004ee1468e>

შემდგენელი და მთარგმნელი: ანა გზირიშვილი

წინასიტყვაობა: ელენე აბაშიძე

ტექსტის რედაქტორი: ელენე აბაშიძე

ტექსტის კორექტურა: მარიანა ჩოჩია, ირინე ჯორჯაძე, ანუკა
რამიშვილი-შაფერ

პუბლიკაციის დიზაინი: თამარ ჩადუნელი

ყდის ქართული შრიფტი შექმნა თამარ ჩადუნელმა, მარიჯანის
კრებულის (1921) ყდის შრიფტის შთაგონებით.

ციფრული კრებული “ნედლი მასალა” შეიქმნა “ქალთა ფონდი
საქართველოში” მხარდაჭერით.

გამომცემელი ე.ა საგამოფენო სივრცე.

ყველა უფლება დაცულია.

თბილისი, 2024.

Compiled and translated by Ana Gzirishvili

Foreword: Elene Abashidze

Text editor: Elene Abashidze

Proofreading: Mariana Chochia, Irine Jorjadze, Anuka Ramischwili-Schäfer

Publication design: Tamar Chaduneli

The cover font in the Georgian language was designed by Tamar Chaduneli, inspired by the cover font of the *Marijan* poem collection published in 1921.

The digital collection *Raw Material* was created with the support of the *Women's Fund in Georgia*.

Published by *E.A. Shared Space*.

All rights reserved.

Tbilisi, 2024.

მარიჯანი (მარიამ ტყემალაძე)
Marijan (Mariam Tkemaladze)

ესმაონიანი
E s m a o n i a n i

ელენე დარიანი - ბაკრაძე
Elene Dariani-Bakradze

საფომგელაძე
S a p o M g e l a d z e

ბაბილინა ხოსიტაშვილი
Babilina Khositashvili

დომენიკა ერისთავი / განდგეილი
Domenika Eristavi / Gandegili

შემდგენელი და მთარგმნელი ანა გზირიშვილი
Compiled and translated by Ana Gzirishvili